

მოდული 15გ: აქტიური მოსმენა. ნაწილი 2: პერეფრაზირება

ამოცანები: სესიის ბოლოს მონაწილეებმა უნდა შეძლონ:

1. პერეფრაზირების, როგორც აქტიური მოსმენის კომპონენტის, აღწერა;
2. ოჯახის დაგეგმვის კონსულტირების დროს პერეფრაზირების მიზნის აღწერა;
3. სიტყვების და მათ უკან არსებული ემოციების/გრძნობების პერეფრაზირების დემონსტრირება.

განსაზღვრული დრო: 30 წუთი

ტრენინგის მეთოდები:

- დისკუსია
- ვარჯიში

საჭირო მასალები:

სალექციო პლაკატები

- სესიის მიზნები

I-II. პერეფრაზირება (5 წუთი)

გაიხსენეთ ბოლო სესია და ის, რომ უსიტყვო მოსმენა აქტიური მოსმენის სამი კომპონენტიდან ერთ-ერთია; მეორე გახლავთ პერეფრაზირება. ჰკითხეთ:

- რას აკეთებს პიროვნება, როცა ახდენს მისთვის ნათქვამის პერეფრაზირებას?

საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს მისთვის ნათქვამის აზრს, მის უკან არსებული გრძნობების ჩათვლით (რაც იგრძნობა ხმის ტონით, სახის გამომეტყველებით, სხეულის ენით)

- რა არის პერეფრაზირების მიზანი?

- იმის დადასტურება, რომ სამედიცინო პირს ესმის, თუ რას გულისხმობს პაციენტი;
- სამედიცინო პირს ხელს უშლის, შეაწყვეტინოს პაციენტს საუბარი და მისცეს რჩევა;
- ეხმარება პაციენტს, განაგრძოს თავისი პრობლემის ახსნა.

III. სიტყვების პერეფრაზირება (15 წუთი)

ახსენით, რომ ჯგუფმა უნდა ივარჯიშოს სიტყვების და მათ უკან არსებული გრძნობების პერეფრაზირებაში.

თხოვეთ მონაწილეებს, დააკვირდნენ პერიფრაზირების დემონსტრაციას (რაც ხორციელდება ორი ტრენერის ან ერთი ტრენერის და ერთი მონაწილის მიერ). ერთი პიროვნება (ტრენერი ან მონაწილე) ასრულებს ოჯახის დაგეგმვის სერვისისას პაციენტის როლს და ხსნის თავის პრობლემას, მოთხოვნილებას ან საზრუნავს. მეორე პიროვნება (ტრენერი) ასრულებს სამედიცინო პირის როლს, ახდენს პაციენტის ნათქვამის პერიფრაზირებას და წახალისებს პაციენტს, განაგრძოს პრობლემის ახსნა (2 წუთი).

ჰკითხეთ ჯგუფს:

- რას აკეთებდა სამედიცინო პირი?
- როგორ უწყობდა პერიფრაზირება ხელს სამედიცინო პირსა და პაციენტს შორის ურთიერთობას?

- სამედიცინო პირი ამოწმებდა, რომ მან გაიგო პაციენტის ნათქვამი (და თუ რამე ვერ გაიგო, პაციენტს შეეძლო იმის დაზუსტება, რა თქვა/იგულისხმა);
- სამედიცინო პირი წახალისებდა პაციენტს, გაეგრძელებინა პრობლემის ახსნა;
- სამედიცინო პირი არ აწყვეტინებდა პაციენტს რჩევებით ან პრობლემის გადაწყვეტის გზების ახსნით.

შენიშვნა: პერიფრაზირება მოითხოვს ყურადღებით მოსმენას სხვა რამეზე ფიქრის და ყურადღების გადატანის გარეშე.

დაყავით მონაწილეები ორკაციან ჯგუფებად. თუ მონაწილეები რჩებიან თავიანთ ჯგუფებში როლების წინა გათამაშებიდან, თხოვეთ მათ, შეიცვალონ ჯგუფი, რათა მიიღონ გამოცდილება სხვა ადამიანებთან ურთიერთობითაც. ადგილების შეცვლის დროს თხოვეთ ყველას, ვინც წინა თამაშში სამედიცინო პირი იყო, ადგეს და შეუერთდეს სხვა ჯგუფს.

თითოეულ ჯგუფში მონაწილეები გადაწყვეტენ, პირველად ვინ იქნება სამედიცინო პირის და ვინ პაციენტის/დამკვირვებლის როლში. (ყველა მონაწილე პრაქტიკის დამთავრებამდე შეასრულებს ორივე როლს).

თემის არჩევა. მიეცით მონაწილეებს ორი წუთი, რომ აარჩიონ პრობლემა/სცენარი, რომლის გამოყენებაც სურთ პაციენტის/ დამკვირვებლის როლის შესრულებისას (რომ არ გაეფანტოთ ყურადღება როლის შესრულების პროცესში მისი არჩევისას). პრობლემა/სცენარი შეიძლება იყოს პიროვნული ან ოჯახის დაგეგმვის წინა პაციენტის მიერ წამოჭრილი პრობლემა. ის უნდა შეიცავდეს ემოციის ან წუხილის ელემენტს. მონაწილეებმა შეიძლება გამოიყენონ იგივე პრობლემა, რაც როლების წინა თამაშისას, რამდენადაც ჯგუფების წევრები შეცვლილია.

როლების პირველი თამაში (2 წუთი). თითოეულ ჯგუფში პაციენტი/დამკვირვებელი ხსნის თავის პრობლემას, თითო ჯერზე ამბობს 1-2 ფრაზას, რათა სამედიცინო პირს პერიფრაზირებაში ვარჯიშის საშუალება მიეცეს. სამედიცინო პირი ახდენს ნათქვამის პერიფრაზირებას. პაციენტი/დამკვირვებელი აკვირდება მის ქცევას, რათა შეძლოს უკუკავშირის მიცემა.

- თუ სამედიცინო პირი ზუსტად ვერ იმეორებს პაციენტის/დამკვირვებლის მიერ გამოთქმულ აზრს, პაციენტი/დამკვირვებელი იმეორებს ნათქვამს მანამ, სანამ სამედიცინო პირი სწორ პერიფრაზირებას არ მოახდენს.
- თუ სამედიცინო პირი დაიწყებს რჩევის მიცემას, პაციენტი/დამკვირვებელი შეახსენებს მას ამ აქტივობაში მისი როლის შესახებ.

შენიშვნა: როლების შესრულების დროს მნიშვნელოვანია დროის კონტროლი ინსტრუქციების თანახმად, რათა: 1) დაცულ იქნას ის დრო, რომელიც ამ სესიისთვისაა განსაზღვრული და 2) მონაწილეებს გაუმარტივდეთ მუშაობა. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება არ მოეწონოს როლების თამაში, განსაკუთრებით დასაწყისში. დროის შეზღუდვა ამცირებს ამ დისკომფორტს.

დისკუსია/უკუკავშირი მცირე ჯგუფებში (2 წუთი). თითოეულ ჯგუფში სამედიცინო პირი, და პაციენტი/დამკვირვებელი აძლევს უკუკავშირს სამედიცინო პირს მის მიერ ღია კითხვების გამოყენების, ეფექტურობის და ნებისმიერი სირთულეების შესახებ.

თითოეულ ჯგუფში მონაწილეები ცვლიან როლებს.

როლების მეორე თამაში (2 წუთი). თითოეულ ჯგუფში პაციენტი/დამკვირვებელი ხსნის თავის პრობლემას, თითო ჯერზე ამბობს 1-2 ფრაზას, რათა სამედიცინო პირს პერიფრაზირებაში ვარჯიშის საშუალება მიეცეს. სამედიცინო პირი ახდენს ნათქვამის პერიფრაზირებას. პაციენტი/დამკვირვებელი აკვირდება მის ქცევას, რათა შეძლოს მისთვის უკუკავშირის მიცემა.

- თუ სამედიცინო პირი ზუსტად ვერ იმეორებს პაციენტის/დამკვირვებლის მიერ გამოთქმულ აზრს, პაციენტი/დამკვირვებელი იმეორებს ნათქვამს მანამ, სანამ სამედიცინო პირი სწორ პერიფრაზირებას არ მოახდენს.
- თუ სამედიცინო პირი დაიწყებს რჩევის მიცემას, პაციენტი/დამკვირვებელი შეახსენებს მას ამ აქტივობაში მისი როლის შესახებ.

დისკუსია/უკუკავშირი მცირე ჯგუფებში (2 წუთი). თითოეულ ჯგუფში, სამედიცინო პირი და პაციენტი/დამკვირვებელი აძლევს უკუკავშირს სამედიცინო პირს მის მიერ ღია კითხვების გამოყენების, ეფექტურობის და ნებისმიერი სიმძნელების შესახებ.

შეჯამება (10 წუთი)

ჰკითხეთ ჯგუფს:

- იყო ეს აქტივობა ადვილი? რთული? რა თვალსაზრისით?
- გიჩნდებოდათ პრობლემები სწორად პერიფრაზირებაში? რატომ?

თუ მონაწილეებს უჩნდებათ პრობლემები პერიფრაზირებისას, ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ:

- ეს ახალი ტექნიკაა;
- იფანტება ყურადღება;
- სამედიცინო პირებს აქვთ ჩარევის სურვილის ტენდენცია;
- მათ შეიძლება მზად ქონდეთ საკუთარი პასუხი პაციენტის ნათქვამზე.

- რა თვალსაზრისით შეიძლება იყოს პერიფრაზირება სასარგებლო ოჯახის დაგეგმვის კონსულტირების დროს?

პერიფრაზირება ეხმარება სამედიცინო პირს:

- შეამოწმოს, რომ მან გაიგო პაციენტის ნათქვამი;
- ყურადღება მიაქციოს პაციენტისთვის შემაშფოთებელ აზრებს და სხვა ცრურწმენებს, რამაც შეიძლება შეაფერხოს კონტრაცეფციის ეფექტური გამოყენება;

პერიფრაზირება არწმუნებს პაციენტს, რომ სამედიცინო პირმა გაიგონა და გაიგო მის ნათქვამი

- პერიფრაზირება პაციენტის მიერ (რაზეც არ გვივარჯიშია) არწმუნებს სამედიცინო პირს, რომ პაციენტმა გაიგო მიწოდებული ინფორმაცია
ამლევს სამედიცინო პირს ინფორმაციის/ინსტრუქციების დაზუსტების შანსს, რომლებიც შეიძლება ნაკლებად გასაგები ყოფილიყო.

- არსებობს პერიფრაზირების გამოყენების რაიმე შემაფერხებელი ფაქტორები?

მხოლოდ როგორც პასიური მოსმენის შემთხვევაში: ის თავისთავად არ არის საკმარისი ოჯახის დაგეგმვის კონსულტირებისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე კითხვები და დიალოგი.

ახსენით, რომ გადავდივართ აქტიური მოსმენის საბოლოო ასპექტზე, კერძოდ სიცხადის შემტან კითხვებზე.

შემდეგ სესიაზე ვისაუბრებთ აგრეთვე ჭორებზე და იმაზე, თუ როგორ:

- ავიცილოთ თავიდან მათი წარმოშობა;
- ვუპასუხოთ, პაციენტების მხრიდან მათი წამოჭრის შემთხვევაში.